



სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი  
Sulkhan-Saba Orbeliani Teaching University

საგანმანათლებლო პროგრამა	ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)
-----------------------------	---

ინფორმაცია პროგრამის შესახებ	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
	მიმართულება	ბიზნესის ადმინისტრირება - 02
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration
	სწავლების ენა	ქართული
	პროგრამის მოცულობა (ECTS)	120 ECTS 4 სემესტრი. (ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს)
	პროგრამის დამტკიცების აქტი	აკადემიური საბჭოს დადგენილებები: პროგრამის დამტკიცება (ოქმი № 02.02.2017;
	გადაწყვეტილება	ახალი

	აკრედიტაციის მინიჭების შესახებ	
	პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო პაპაჩაშვილი, აფილირებული პროფესორი

**პროგრამის აღწერილობა**

<p><b>პროგრამაზე დაშვება</b></p> <p>მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებას უცხო ენაში (ინგლისური) და გასაუბრებას სპეციალობაში.</p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა შეავსოს უცხო ენის (ინგლისური) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი ტესტი.</p> <p>პირი, რომელსაც აქვს შესაბამის დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (საერთაშორისო აღიარებული ორგანიზაციების მიერ გაცემული) ან პირველი საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა გავლილი აქვს უცხო ენაზე (ინგლისური) ტესტირებისგან თავისუფლდება.</p> <p>საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესების შესაბამისად.</p>
--

<p><b>პროგრამის სტრუქტურა</b></p> <p>ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული (ძირითადი სპეციალობა და არჩევითი სასწავლო კურსები), თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 120 კრედიტანია და ითვალისწინებს სასწავლო(90 კრედიტი) და კვლევით (30 კრედიტი-სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა) კომპონენტს. პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება წინამდებარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სანაგში კრედიტის მიღებით და პროგრამის მოთხოვნების შესრულების შედეგად.</p>
--

<p><b>პროგრამის მიზანი</b></p> <p>პროგრამა შეესაბამება სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მისიაში ასახულ მიზნებს და უზრუნველყოფს ინოვაციებზე ორიენტირებული სწავლების და სწავლის დანერგვით ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი,</p>
---

მაღალკვალიფიციური, ზნეობრივად სრულყოფილი, დემოკრატიის იდეალების მიმდევარი სპეციალისტების მომზადებას და ამ სფეროში საზოგადოების-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს ღრმა ცოდნა, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმატებული საქმიანი კომუნიკაციის დამყარების, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების მეშვეობით ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბიზნეს-პროცესებისა და ორგანიზაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და სწორი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, საორგანიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, საინფორმაციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა, პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის, კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის და განათლების ბაზრის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას – სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში), ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებების ადეკვატურ აღქმას, სწრაფ ადაპტირებას და კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას და კარიერულ წინსვლას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მომზადების საჭიროება ბაკალავრის სტუდენტთა გამოკითხვებმა და კვლევითი ჯგუფის მიერ ჩატარებულმა ბაზრის ანალიზმა აჩვენა. ამიტომ ეს პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის პარტნიორი უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, კერძოდ, ლიონის კათოლიკური უნივერსიტეტი, ლუბლინის ( პოლონეთის) კათოლიკური უნივერსიტეტი. ეს პროგრამა ფოკუსირებულია და ითვალისწინებს კადრების მომზადებას ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. ასევე, პერსონალი ჩართულია ერაზმუს + გაცვლით პროგრამებში, მობილობაში, რამაც საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა ახალი სამაგისტრო პროგრამა

მოცემული პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, კომპლექსური პრობლემების ორიგინალური გადაწყვეტის იდეების ძიების, კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, გამოუმუშავოს დინამიურ ბიზნეს გარემოში პრაქტიკული საქმიანობის უნარ-ჩვევები; გააანალიზოს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები; თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზის საფუძველზე შეიძინოს კომპეტენციები ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და პროცესებზე; შეძლოს მენეჯმენტის თანამედროვე პრინციპებისა და მეთოდების პრაქტიკაში გამოყენება, შედეგების სწორი ინტერპრეტაცია, განახორციელოს პრაქტიკული ხასიათის პროექტები; გამოიმუშაოს ანალიზის, კრეატიული და ინოვაციური აზროვნების უნარები; შეძლოს რთული და არასრული ინფორმაციის, მონაცემების შეგროვების საფუძველზე სიტუაციების კრიტიკული ანალიზი და განზოგადებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეძლოს კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.

სამაგისტრო პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე

კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკული უნარების დაუფლების შესაძლებლობას.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება შესაძლებლობა მოახდინოს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სინთეზი, რაც მოცემული პროგრამის წარმატების განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. კერძოდ, სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა სხვადასხვა მიმართულებით მოახდინონ მინი პროექტების დაწერა და მათი პრეზენტაცია, და გამოიმუშაონ გარკვეული საჭირო უნარ-ჩვევები, მიიღონ ადამიანებთან საქმიან გარემოში ურთიერთობის გამოცდილება, რაც გარკვეულწილად მათი წარმატებული კარიერის ერთ-ერთი საფეხური იქნება.

**სწავლის შედეგები**

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ღრმა ცოდნა, რომელიც რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ღრმა და სისტემურ დონეზე გლობალური ბიზნეს სუბიექტების და მათი ბიზნეს-ინტერესების განსაზღვრა; ანალიზისა და საერთაშორისო სტრატეგიული მენეჯმენტის ტექნოლოგიები.</li> <li>• ღრმა და სისტემურ დონეზე სტრატეგიულ მენეჯმენტში გრძელვადიანი კონკურენტული სტრატეგიების შემუშავების, შეფასების მექანიზმები და პრინციპები, რომლის საფუძველზეც გააცნობიერებს სტრატეგიულ მენეჯმენტში ცალკეული პრობლემის გადაჭრის მართვის ახალ, ორიგინალურ გზებს.</li> <li>• მარკეტინგის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას და მარკეტინგული კომპლექსისა და ფუნქციურ არეებთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვითცნობიერება;</li> <li>• კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების სხვადასხვა ფუნქციური არეების ღრმა და სისტემური ცოდნა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვითცნობიერება;</li> <li>• ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბით ბიზნესის მართვის თეორიებისა და პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა და მათთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების გათვითცნობიერება;</li> <li>• ორგანიზაციის ოპერაციული და სტრატეგიული დაგეგმარება-ოპერირების სხვადასხვა ფუნქციური არეების ღრმა და სისტემური ცოდნა;</li> <li>• კვლევის მეთოდებსა და მიდგომებში ღრმა და სისტემური ცოდნა.</li> </ul>
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კურსდამთავრებულს აქვს მართვის მეცნიერებისა და მონათესავე დარგების თანამედროვე მიღწევათა, ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი</li> </ul>

	<p>მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; , კერძოდ:  დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;</p> <p>დამოუკიდებლად მუშაობისა და, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;</p> <ol style="list-style-type: none"> <li>2. ცვალებად და მრავალფეროვან ბიზნესგარემოში კომპლექსური პრობლემების გადაჭრის უნარი;</li> <li>3. ბიზნეს ორგანიზაციაში მრავალფეროვან ჯგუფთან მუშაობის უნარი</li> <li>4. ხელმძღვანელობის უნარი</li> <li>5. ორგანიზაციული რესურსების ეფექტურად გამოყენების უნარი</li> <li>6. ბიზნესის პროექტირების და მისი ეფექტურად გაძლიერება-კონტროლის უნარი</li> <li>7. ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მმართველ პოზიციებზე მუშაობის და კადრებთან მუშაობის უნარი</li> <li>8. ცვლილებების განხორციელების უნარი</li> <li>9. ფართო სპექტრის ბიზნეს კვლევების წარმოების უნარი</li> </ol>
დასკვნის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:  რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის შედეგად დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი;</p> <p>რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახალი იდეების ჩამოყალიბების, ინოვაციურობისა და კრეატიულობის უნარი;</p> <ol style="list-style-type: none"> <li>3. კრიტიკული აზროვნებისა და თვითკრიტიკის უნარი</li> <li>4. სისტემური აზროვნების უნარები</li> </ol>
კომუნიკაციის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ქართულ და ინგლისურ ენაზე აკადემიურ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდებისა თუ შედეგების კომუნიკაცია;</li> <li>2. ქართულ და ინგლისურ ენაზე პროფესიულ საზოგადოებასთან დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია;</li> <li>3. ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან</li> <li>4. ინტერდისციპლინარულ ჯგუფში და არასპეციალისტებთან მუშაობისა და დასკვნების, არგუმენტაციისა და შედეგების კომუნიკაციის უნარი</li> </ol> <ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>
სწავლის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <p>სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი</p>

	<p>2. სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების, განსაზღვრისა და, შესაბამისად, მოქმედების უნარი</p> <p>3. სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი</p>
ღირებულებები	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <p>1. ქართული და საერთაშორისო საზოგადოებისათვის და ბიზნეს-მართვისათვის მიღებული ღირებულებებისა და ფასეულობებისადმი დამოკიდებულების შეფასების, შესაბამისად მოქმედებისა და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი</p> <p>2. ბიზნესის ეთიკურად მართვის მიდგომების შეფასებისა და შესაბამისად, მოქმედების უნარი</p>

<p><b>სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები</b></p> <p>სწავლების პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება: ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დისკუსია-დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), შემთხვევის ანალიზი (Case study), ანალიზი, სინთეზი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერიტი და ვერბალური, წიგნზე მუშაობის, დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი და სხვ. მეთოდები. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, რაც მიმართულია სასწავლო პროცესის აქტივიზებაზე და სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, შემეცნებითი/კვლევითი უნარების, ცოდნით აქტიური ოპერირებისა და პრაქტიკული გამოყენების, სიტუაციის და ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, შედეგების დაკონკრეტების, განზოგადებისა და ახსნის, მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, სამუშაოს სტრუქტურირებისა და დროის მენეჯმენტის, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების, გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის, კომუნიკაციის დამყარებისა და დისკუსიის წარმართვის, თვითპრეზენტაციის და თვითშეფასების და სხვ. უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე და მაქსიმალურ განვითარებაზე - სტუდენტები ეჩვევიან მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას, შესასრულებელი სამუშაოს სტრუქტურირებას, ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის, მონაცემების და ლიტერატურის მოძიებას, ინფორმაციის/მონაცემების ანალიზს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბებას და არგუმენტირებულ დაცვას, მსჯელობას და სხვ. პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში, მათი განმარტებები კი განთავსებულია ვებ-გვერდზე <a href="http://sabauni.edu.ge/ge/for-students/regulations-rules">http://sabauni.edu.ge/ge/for-students/regulations-rules</a> და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის კომპონენტის შესწავლისას გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ დაგეგმილი მაგისტრირ დარგობრივი და/ან ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მიღწევას, საბაკალავრო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა კი – მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.</p>
---

**სტუდენტის მიღწევების შეფასების ზოგადი წესი**

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც ივალისწინებს:

ხუთ დადებით შეფასებას

1	max შეფასების 91% და მეტი	A	ფრიადი
2	max შეფასების 81-90%	B	ძალიან კარგი
3	max შეფასების 71-80%	C	კარგი
4	max შეფასების 61-70%	D	დამაკმაყოფილებელი
5	max შეფასების 51-60%	E	საკმარისი

ორ უარყოფით შეფასებას

1	max შეფასების 41-50%	FX	ვერ ჩააბარა
2	max შეფასების 40% და ნაკლები	F	ჩაიჭრა

FX (ვერ ჩააბარა) შეფასების მიღების შემთხვევაში - სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება (შუალედით დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებასა და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის უნდა იყოს არანაკლებ 5 კალენდარული დღისა);

F (ჩაიჭრა) შეფასების მიღების შემთხვევაში - სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**მითითება:** გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებების არა უმეტეს 60 % -ის დაგროვება. (კონკრეტული ზღვარი საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მითითებულია კონკრეტული საგნების სილაბუსებში). გამოცდაზე ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს საგამოცდო შეფასების არანაკლებ 60%-ს (კონკრეტული ზღვარი საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მითითებულია საგნების სილაბუსებში).

ზემოთ მითითებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის/საჯარო დაცვის შეფასების დაჯამების საფუძველზე:

სასწავლო კურსი:		max 100 ქულა	
max 100 ქულა			
შუალედური შეფასებები:	70 ქულა:	ან	შუალედური შეფასებები:
1. შუალედური გამოცდა	30 ქულა		1. შუალედური გამოცდა
2. მიმდინარე შეფასებები	30 ქულა		2. მიმდინარე შეფასებები
3. ნაშრომის პრეზენტაცია	10 ქულა		
დასკვნითი გამოცდა	30 ქულა		დასკვნითი გამოცდა

პრაქტიკა	max
100 ქულა	
შუალედური შეფასებები	70 ქულა
ანგარიშის საჯარო დაცვა	30 ქულა
სამაგისტრო ნაშრომი	max
100 ქულა	
ნაშრომის/პროექტის შესრულება და საჯარო დაცვა	100 ქულა

დასკვნით გამოცდაზე /გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც დასკვნითი გამოცდის/საჯარო დაცვის მომენტისთვის აქვს აქტიური სტატუსი. გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა შუალედური შეფასებების არა უმეტეს 60 % -ის დაგროვება. (კონკრეტული ზღვარი საგნების

სპეციფიკიდან გამომდინარე მითითებულია კონკრეტული საგნების სილაბუსებში). გამოცდაზე ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს საგამოცდო შეფასების არანაკლებ 60%-ს (კონკრეტული ზღვარი საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე მითითებულია საგნების სილაბუსებში).

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობის დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით (min დადებითი შეფასება 51 ქულა). დასკვნით გამოცდაზე დაშვების და სტუდენტის მიღწევების შეფასების წესები წესრიგდება სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით (განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://sabauni.edu.ge/ge/for-students/regulations-rules>) და კონკრეტული სასწავლო კურსის/პროგრამის კომპონენტის სილაბუსით, სადაც აღწერილია შეფასების სისტემა, მეთოდები და კრიტერიუმები.

### პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

პროგრამას კურსდამთავრებულები ჯერ არ ჰყავს, რადგან ახალია.

პროგრამა ორიენტირებულია კვალიფიციური კადრის მომზადებაზე, ეფუძნება შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ მოთხოვნებს და დარგში დადგენილ დარგობრივ სტანდარტებს. კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ როგორც ქართულ, ისე უცხოურ კომპანიებში შემდეგ სექტორებში:

საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები;

სახელმწიფო სექტორი:

- საქართველოს მთავრობა
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ფინანსთა სამინისტრო;
- სტატისტიკის ეროვნული ბიურო;
- ეროვნული ბანკი
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები
- და სხვ.

კერძო სექტორი:

- საბანკო
- სადაზღვევო
- აუდიტორული ფირმები
- სადისტრიბუციო



- საცალო ვაჭრობის კომპანიები
- სარეკლამო კომპანიები
- კვლევითი კომპანიები
- საგანმანათლებლო დაწესებულებები

და სხვ.

#### **პროგრამის კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/ სპეციალობაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

№	კომპონენტი	წინაპირობები	კრედიტი	სულ საათები	საათების განაწილება					სემესტრები				ლექტორის გვარი, პოზიცია, ხაარისხი
					საკონტაქტო საათების განაწილება			სულ საკონტაქტო სთ.	დამოუკიდებელი მუშაობის სთ.	I	II	III	IV	
					ლოქცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და/ან პრაქტიკული მზადყოფნა	შუალედური გამოცდა	დასვენითი გამოცდა							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	
პროგრამის სავალდებულო ნაწილი			74+30=104						25	25	30	25		
კომპონენტი:			74											
1.	თანამედროვე მენეჯმენტის კონცეფციები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	2	2	34	118	6				გ.ჯამბურია გ.მიქანაძე
2.	გლობალური ბიზნესი	წინაპირობის გარეშე	6	150	42	3	3	48	102	6				ლ.ხიხაძე, ასოც პროფ.
3.	მარკეტინგმენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	6				კობახიძე; ალფაიძე
4.	აკადემიური წერა მაგისტრანტებისთვის	წინაპირობის გარეშე	6	150	42	3	3	48	102	6				გიგენავა
5.	ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისურ ენაზე)	წინაპირობის გარეშე (B 2)	6	150	42	3	3	48	102	6				ნ.ხაზალაია
6.	სტრატეგიული მენეჯმენტი	თანამედროვე მენეჯმენტის კონცეფციები	6	150	28	3	3	34	116		6			ნ. გელიტაშვილი, ასოც პროფ
7.	საერთაშორისო მარკეტინგი-	მარკეტინდ მენეჯმენტი	6	150	28	3	3	34	116		6			რ.დალაქიშვილი, მოწვეული
8.	მმართველობითი აღრიცხვა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116		6			თ.დოლიაშვილი, მოწვეული პროფ.
9.	ბიზნესის სტატისტიკა	წინაპირობის გარეშე	4	100	28	2	2	32	68		4			
10.	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა და ორგანიზაციული ქცევა	თანამედროვე მენეჯმენტის კონცეფციები	6	150	28	3	3	34	116			6		ენაცვლიშვილი, პროფ.
11.	ფინანსური მენეჯმენტი	მმართველობითი აღრიცხვა	6	150	28	3	3	34	116			6		ყირიშვილი

12.	ოპერაციათა მენეჯმენტი	თანამედროვე მენეჯმენტის კონცეფციები	6	150	41	2	3	46	104			6		
13.	სამაგისტრო ნაშრომი	70 კრედიტი ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი	30	750									30	მ.გონაშვილი, მოწვეული, პროფ.
14.	სოციოლოგიური ვლევის მეთოდები		4	100	28	2	3	34	67			4		ზალდასტანიშვილი
<b>არჩევითი საგნები:</b>														
<b>მითითება: 16 კრედიტი უნდა აირჩიოს (88 კრედიტიდან) სტუდენტმა მე-2-3 სემესტრის განმავლობაში მისი ინტერესებიდან გამომდინარე</b>														
15.	პრაქტიკა-არჩევითი	თანამ. მენეჯმ. კონცეფ. მარკეტინგ მენეჯმ. მმართველობითი აღრიცხვა, გლობალური ბიზნესი	6	150										ჯამბურია
16.	ინოვაციური მენეჯმენტი	თანამ. მენეჯმ. კონცეფ.	6	150	28	3	3	34	116					ჯამბურია
17.	მარკეტინგსიმულაცია- Markstra(ინგ)	მარკეტინგ მენეჯმენტი	4	100	28	2	2	32	68					ხომტარია
18.	მეწარმეობა	გლობალური ბიზნესი	4	100	28	3	3	34	66					ჯამბურია
19.	მენეჯერული ეკონომიკა		6	150	28	2	2	32	118					ნ.სესაძე, ასოც.პროფ.
20.	პროექტმენეჯმენტი	თანამედროვე მენეჯმენტის კონცეფციები	4	100	28	3	3	34	66					ნაცვლიშვილი ეკატერინე
21.	ლიდერული უნარ-ჩვევები და მართვა	სტატისტიკა ეკონომიკისა და ბიზნესის-თვის-1	4	100	28	2	2	32	68					ეკატერინე ნაცვლიშვილი
22.	ბრენდინგი	წინაპირობის გარეშე	4	100	28	3	3	34	66					კობახიძე, ხომტარია
23.	ბიზნესის აეთიკა	გლობალური ბიზნესი	4	100	28	2	3	33	67					ზალდასტანიშვილი
24.	საერთაშორისო ბიზნესის რეგულირება	მენეჯმენტის საფუძვლები	4	100	45	3	3	51	49					ხიხაძე
25.	ფინანსური ანალიზი	მმართველობითი აღრიცხვა	4	100	28	2	2	32	68					დოლიაშვილი
26.	ეროვნულანგარიშგებათა სისტემა	ბიზნეს	4	100	28	2	2	32	68					მეტრეველი

		სტატისტიკა												
27.	ფინანსური ანგარიშგება	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	4	100	28	2	2	32	68					დოლიაშვილი
28.	მართვის სოციოლოგია	მენეჯმენტის საფუძვლები	4	100	28	2	3	33	67					ზაღდასტანიშვილი
29.	ეკონომიკური პოლიტიკა	მენეჯმენტის საფუძვლები	4	100	28	2	2	32	68					გელიტაშვილი
30.	სოციალური პოლიტიკა	წინაპირობის გარეშე	4	100	28	2	2	32	68					გელიტაშვილი; ცანავა
31.	კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა	წინაპირობის გარეშე	6	150	42	3	3	48	102					როინ მიგრიაული
32.	საბანკო სამართალი და საბანკო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდოლოგია	მენეჯმენტის საფუძვლები;	6	150	42	3	3	48	102					ირაკლი კალანდაძე
33.	სადაზღვევო სამართალი და სადაზღვევო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდოლოგია	I-VII სემესტრების ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლებლები	6	150	42	3	3	48	102					ირაკლი კალანდაძე

- არჩევით საგნებს სტუდენტი ირჩევს თავისი სურვილის მიხედვით წინაპირობების გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში)